№ 230 ოქტომბერი 30, სამშაბათი 1890 ოქტომბერი 30, სამშაბათი № 230


**გაზეთი ღირს**

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაბარებლად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანტოვის ძველს პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 30 ოქტომბერს, ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

**მსხვერპლი უხასიათოებისა**

დრამ. 4 მოქმედ. გად. მ. ნასიძისაგან.

II

**ადვოკატთან**

ვოდევ. 1 მოქ. გუნიასი.

მოთამაშენი: ქ-ნი გაბუნია ცაგარელისა, ავალიშვილისა, საფაროვისა, გარსევანიშვილისა, ციციშვილისა, ტარიელოვისა: ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1890 წლის 4 ნოემბრიდგან ქალაქის საბჭოს დარბაზში, დილის 9 საათზედ, დაიწყება არჩევანი პირველის სარისხის ხმოსნებისა მომავალ 1891—1894 წლისათვის.

(3—2)

1891 წ.

**კედლის ქართული კალენდარი**

შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ და გამოცემული „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან".

ისყიდება საკუთარს წიგნის მაღაზიაში (დორის-მელიქოვის ქ. ს. ზუბალოვისა).

ფასი 40 კაპ.


## ახალი ამბავი

*** კვირას, ამ თვის 28, სადამოს 9 საათსა, 45 წუთსა და 8 წამზე ტფილისში მიწა იძრა. ესეთი ძლიერი მიწის ძვრა ჩვენს ქალაქში ამ უკანასკნელ სამოცს წლიწადს ჯერ არა ყოფილა. მიწა სამჯერ იძრა. პირველი ძვრა თუმცა ძლიერი იყო, მაგრამ სამს წამს შემდეგ მეორედ და მესამედაც იძრა და ისე ძლიერ, რომ ბევრგან სახლის კედლები გასკდა, ოთახებში ჭურჭელმა რახუნი დაიწყო და მრავალ ალაგას ჭურჭელი ჩამოცვივდა, ზარებმა თავის თავად რეკა დაიწყო და ბევრმა თავი ვერ შეიმაგრა და ძირს დაეცა. სამმავე მიწის ძვრამ ოცდა-ათი წამი გასტანა. დედა-მიწიდამ გუგუნი ისმოდა.

*** ინგლისის არზრუმელი ელჩი ბ-ნი ლოიდი გუში-წინ დილით ბათუმს გაემგზავრა.

*** ამ დღეებში ტფილისის საბაქტერიოლოგიო სადგურში მოიყვანეს სოფ. კოდალოდგან (სიღნაღის მაზრიდამ) ივანე ნასიძე, რომელიც ამ თვის 21 ცოფიანს მგელს დაუკბენია. ი. ნასიძეს დაკბენილი აქვს სახე და ხელი.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი: „სამი ისტორიული ხრონიკა" (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა, ბაგრატიონების შესახებ და მესხურის დავითნისა), გამოცემული ერცელის წინასიტყვაობითა და შედარებით „ქართლის ცხოვრებასთან" და სხვა ხრონიკებთან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. წიგნი კარგა მოზრდილია, მრავალის საყურადღებო შენიშვნებით არის სავსე, სუფთად და ლამაზად დაბეჭდილი და ღირს ერთი მანათი. ასე ძვირად იმიტომ ღირს, რომ წიგნი სამეცნიერო გამოცემაა და ცოტა ეგზემპლიარი დაიბეჭდა.

*** სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება.

*** ტფილისის სასულიერო სასწავლებელში დაუწყებიათ შეგირდებისათვის სადილად ჩესუნჩის ქსოვა.

*** ქალაქის საბჭოს სავალდებულო წესების ძალით სხვათა შორის არავის არა აქვს ნება, რომ ახალი სახლი ააშენოს ისეთს მამულზე, რომელიც 80 ოთხ-კუთხს საჟენზე ნაკლებია სივრცით. ამას გარდა სიგრძე სახლის შუბლისა 7 საჟენზე ნაკლები არ უნდა იყოს. ახლა უნდათ, ზოგიერთი ამ სავალდებულო წესებისა შესცვალონ, რაც დაწესდება სავალდებულოდ, უნდა აცნობონ ნოტარიუსებსა და სთხოვონ, აუხსნან მამულის ყიდვის დროს, თუ რა სავალდებულო წესებია შემოღებული ქალაქის მიერ იმათთვის, ვინც ახლად სახლს აშენებს.

*** შაბათს, 27 ოქტომბერს, დანიშნული კრება სამეურნეო საზოგადოებისა არ შესდგა, რადგან ძალიან ცოტა წევრნი მივიდნენ კრებაზე დასასწრებლად.

*** ამ დღეებში ტფილისში შეიკრიბებიან გუბერნატორები ამიერ-კავკასიისა სხვა-და-სხვა სამსახურის საქმეთათვის.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში შეცდომით იყო მოხსენებული, რომ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე 25 ოქტომბერს გორს წაბრძანდაო. ეპისკოპოსი ალექსანდრე იმ დღეს გორსკი არა, შიო-მღვიმის მონასტერში [illegible] რა ტფილისიდამ და საღამოზე ისევ უკან დაბრუნდა,

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ახალციხის მაზრის უფროსი გრაფ-ტიზენგაუზენი გადაჰყავთ ერევნის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად.

*** ტფილისის ვაგზალი სავსეა ჯიბგირებით. როგორც აირევა ხალხი მატარებლის მოსვლა-წასვლაზე, დაიწყებენ ისინიც ფუსფუსს, ირევიან ხალხში და ეძებენ მსხვერპლს. გუშინ დილით ერთს მოგზაურს ჯიბგირებმა ამოაცალეს ჯიბიდამ ოცი მანათი, როცა მგზავრი ის-ის იყო ვაგონში თურმე ადიოდა. საწყალი კაცი ჩიოდა, გაუმაძღარს ქალაქს ეგ ფული-ღა გადავანარჩუნე სამკვდროსასიცოცხლოდაო და, დახეთ ჩემს ცოდოს,—ეგეც იმ ავაზაკებმა ამომაცალეს ჯიბიდამაო. ჯიბგირებს ბინა ვაგზლის ახლო-მახლო დუქნებსა და ტრაქტირებში აქვთ. ისინი იქ იკრიბებიან, იქ ატარებენ დროს, იქ ბჭობენ და თათბირობენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, იქ იყოფენ თავიანთ „ოფლით მონაგარსა" და იქიდამ მოედებიან ხოლმე ვაგზალს მაშინ, როცა მატარებელი ან მოდის, ან მიდის და ხალხით გაჭედილია იქაურობა. არ იქნება ურიგო, რომ პოლიციამ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ ჯიბგირების ზემოხსენებულს ბუნაგებს.

*** გურია: არ იქნა და არ გადავარდა ჩვენში ზოგიერთი მეტად დამაზარალებელი ჩვეულება, რომ [illegible] გაწევა ქორწილსა და ტირილში. ხარჯს კიდევ ჯანი გავარდეს, რომ ჩხუბი და ხშირად კაცის ჩხა და კვლა არ მოსდევდეს. ამას წინად, სოფელს ხვარბეთში, როცა ერთის გლეხის გარდაცვალების გამო ტირილი იყო, კინაღამ კაცის-კვლა მოხდა. რაღაზედაც

## ფელეტონი

მერი

ერთ-მოქმედებიანი კომედია წერილებად

(ფრანც შენტანისა)

ჩემო მეგობარო!

ლხინი, ქორწილი, თავისუფლად მოგზაურობა! დრეზდენი, ვენა, კრაცი, ვენეცია, ფლორენცია, რომი, ნეაპოლი, კაპრი!—შინ დაბრუნება, მშობლების ნახვა, ოჯახის უფროსობა! ყველა ესა და სხვაც ბევრი სიამოვნება ენახე შენმა ემმამ, თუმცა დანაშაული მაქვს, რომ შენ-კი აგრე რიგად ხშირად არ გიგონებდი ხოლმე და თითქმის არც ერთი წერილი არ მომიწერია. საშინლად გახარებული ვიყავ გათხოვების პირველს ხანებში და ისეთის გატაცებითა ვოცნებობდი, რომ სასწავლებელში ყოფნის დროს მოთხრობებსაც არა ვკითხულობდი ასეთის გემოთი და სიტკბოებით, იმ მოთხრობებს, რომლებსაც შენ, ჩემო ჰკვიანო მეგობარო, აბუჩად იგდებდი და დასცინოდი. მაგრამ შენი სიცილ-ღიმილი ხომ ტკბილი და წყნარია, შენ ხომ ადვილად იცი ხოლმე პატიება! მაშ აბა ეხლაც გაიღიმე და ამ ხანადაც მაპატიე.

აჰ, ჩემო საყვარელო ტონი, რა ბედნიერი ვარ! რომ იცოდე, რა არის ჩემი ოტტო! ხომ გახსოვს, მალ-მალე რომ ერთად ვოცნებობდით ხოლმე და ვამბობდით, ჩვენი მომავალი ქმარშვილიანობა და ოჯახში ცხოვრება ასე და ასე უნდა იყოსო. ჩემი „საბედო" სულ სხვანაირად მყავდა წარმოდგენილი. ოტტო იმას არა ჰგავს, მაგრამ მაინც ისეთი გულკეთილი, მოსიყვარულე და კარგია, რომ გაგიჟებით მიყვარს. ძლიერ მიხარიან, რომ გერმანიაში დავბრუნდით. საშინლად მეშინოდა იტალიელ ლამაზის ქალებისა. ხომ იცი რა შეილიცა ვარ, ჩემის სილამაზით აბა რა უნდა გავაწყო, თუმცა, მართალი უნდა გითხრა, ოტტო სულ სხვას მეუბნება. გაგიტყდები, ოტტოს ისე ვუყვარვარ—ისე, რომ თითქმის მაღმერთებს. ერთის მხრით დიდად ბედნიერი ვარ, მაგრამ ამასთანავე ძლიერაც-კი მეშინიან, რომ ეს ბედნიერება ხელიდგან არ გამომეცალოს. თავის დღეში არ დამავიწყდება ის ტანჯვა, რაც კასტელამარეში გამოვიარე. ერთი შავ-თვალა ფრანგი ქალი საშინლად აცქერდებოდა ჩემს ოტტოსა და სწორედ თვალებს გამოვჩიჩქნიდი იმ უბედურს, ოტტოს რომ არ შემოეფიცნა ჩემთვის, რის მაქნისია ეგ ვიღაც ოხერი, რასა ჰგავსო. მაგრამ იმ ნახევარ საათის განმავლობაში მაინც-კი შევიტყვე, რაცა ყოფილა ეჭვიანობა. მარადის შენი მოსიყვარულე ემმა ფონზალდერი (კიუნი).

კ. მ. მშვენიერი სახლი გვიჭირავს. მართლა, იცი? ოლგა ფრიულისი გძელ-ცხვირას მისთხოვდა. ჩემს ოტტოს რომ იმოდენა ცხვირი ჰქონდეს... ოჰ, სათქმელადაც-კი მეძნელება!

ორიოდე სიტყვა კიდევ. ჩვენ პირდაპირ ერთი მათხოჯი ლეიტენანტი სცხოვრებს. იმ ნაირად დარგვალებია პირის სახე, თითქო თხუთმეტის დღის მთვარეაო, ჭარხალსავით გაწითლებულა და ქერა თმა ნაგერალ ყანასავით გასთხელებია. როცა პირველად ფანჯარაში გავიხედე და დავინახე, ცოტას გასწყდა, მაშინვე არ გადვიხარხარე და სიცილის დასაჭერად თავილა დავუკარი. ლეიტენანტი უარესად გაწითლდა, თითონაც თავი დამიკრა და კინაღამ ფანჯრიდგან ძირს ბრაგვანი არ მოადინა. ისეთ ნაირად იცქირებოდა, თითქო მთვარე ქვეყნად ჩამოვარდნილაო. იმას მგონი თავისი თავი რაღაც პაპა ჰგონია. ვისაც ჩემ ოტტოსთანა ქმარი ჰყავს, სხვა კაცებს ზედაც არ შეხედავს.

2 აპრილი.

ჩემო ძვირფასო ტონი!

გუშინ ამ სეზონის უკანასკნელი ბალი გამართეს და მეც წაველი. ბალი ძლიერ კარგი იყო, მაგრამ ეხლა მე ბალებს აღარ დავდევ: მხოლოდ ჩემი ოტტო მიყვარს და არ მინდა, რომ სხვა ქალებთან ითამაშოს. ეჭვიანი არა ვარ, მაგრამ როცა ოტტო ახალგაზდა ქალთან თამაშობს, (ოტტომ მშვენიერი თამაშობა იცის), ემასლაათება და შესცინის, გულში რაღაც მომეჭიჭება ხოლმე. ახლო სოფელში ბალის ყიდვას ვაპირებთ და მთელის ზაფხულით იქ უნდა წავიდეთ, რა მშვენიერება იქნება! ოტტო, რა კითხვა უნდა, კარგი მხედარი უნდა იყოს და მოხდენილადაც ეცოდინება ცხენზე ჯდომა. ჯერ-ჯერობით ოტტო ცხენით გავლილი არ მინახავს, მაგრამ როცა ჯერ ისევ დანიშნულები ვიყავით და ცხენებით სეირნობაზე ჩამოვუგდებდი ხოლმე ლაპარაკს, სულ იმას ამბობდა, მეც ძლიერ მიყვარსო. ეხლა ხანდისხან მარტო ვარ ხოლმე. ოტტოს ბევრი საქმე აქვს, ბევრსა მუშაობს, მაგრამ კარგს ფერზეა და მადაც მშვენიერი აქვს. მართლა ამ ჰამაზე მომაგონდა: სამზარეულოში უნდა გავიდე. პირს გაკოცებ, ჩემო ანგელოზო.

შენი ემმა.

კ. მ. გმადლობ წერილისა და მოკითხვისათვის. დედას პირს კოცნა გადაეცი. აი „მთვარე" ლეიტენანტმა გამოიხედა და ჩვენს ფანჯრებს შემოანათა თავისის უშნოს თვალებით. ისეთ ნაირად იცქირება, თითქოს მთელი ღამე არა სძინებიაო.

7 აპრილს.

საყვარელო ტონი!

ძლიერ აჩქარებითა გწერ! წარმოიდგინე ჩემი უბედურება. დღეს ოტტო რომ შინ მოვიდა (თვალებიდგან მდუღარე ცრემლი მდის), კიბეზე ფეხი გაუსხლტა, წაიქცა და ხელი იღრძო. სველ ტილოებს ვადებ ნაღრძობზე და მთელი ეს დღე სულ ტირილში მიღამდება. იმედი მაქვს, ხვალ უკეთ შეიქნება. სოფელში წასვლას ვაპირებდით, დღეს უნდა ჩამეცვა ჩემი ცის ფერი კაბა, მერე რანაირად მიხდება—და უეცრად-კი ეს უბედურება აგვიტყდა. ეჰ, ცხოვრებაში ხანდა-ხან მწუხარებაც გამოერევა ხოლმე. მარადის შენი—უბედური ემმა.

9 აპრილს.

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

მე ეხლა უბედური, ტანჯული, დაჩაგრული ადამიანი ვარ. სხვისთვის ვერავისთვის გამიზიარებია ჩემი ნაღველი. ნება მომეცი, გულში ჩაგეკონო და შემოგტირო ჩემი უბედურება! თუ შველა არ შეგიძლიან, შემიბრალე მაინც. ყველაფერს მოკლედ გეტყვი. ჩემი ქმარი რაღასაც მიმალავს! მიმალავს მე, თავისს ემმას, რომელსაც შემომფიცა, რომ... ოჰ, ცრემლები გადმომდის და ქაღალდს მისველებს. ამ ორის კვირის წინად ჩემმა ქმარმა დაიწყო და ყოველ დილას 8 საათზე სადღაც მიდიოდა ხოლმე

შეხირდნენ აზნაურიშვილი ს. ქ—ვაძე და გლეხ-კაცი ფ. გ—ძე. შეხირება ჩხუბად გადაექცათ. ქომაგნიც გამოუჩნდნენ ორივეს და ასტყდა ტრიალი კეტისა და სროლა რევოლვერისა. სიკვდილით არავინ მომკვდარა, მაგრამ ერთს-კი, რომელიც აშველებდა მოჩხუბართ, თითი მოსწყვიტა რევოლვერის ჩახმახმა, როცა ხელი ეტაცნა რევოლვერისათვის. მოჩხუბარნი გაშველდნენ, მაგრამ ერთმანეთს-კი დიდად დაემუქრნენ და, ვინ იცის, იქნება ეს დამუქრება გაამართლონ კიდეც.

*** ს. ქსანი: გუშინლამ, 28 ოქტომბერს, 10 საათზე, საშინელი მიწის ძვრა იყო. რკინის გზის სადგურის შენობა რამდენსამე ალაგს გაიპო, სადგურზე მდგომი ვაგონები საშინლად შეაჯახა ერთმანეთს. სადგურის უფროსი სახლობით ზემო სართულიდგან შეშინებული დაბლა ჩამოვიდა და ძირს გულ წასული წყლით ბათუმიდგან მომავალ ხალხის მატარებლის მოსვლამდე ძლივს მოაბრუნეს.

*** ს. ხიდისთავი: შემოდგომა და ქორწილ-ნიშნობა, ნათლობა და წირვები ხომ აუცილებლად ერთად მოდის ჩვენს სოფლებში. უამისობაც არ შეიძლება, რადგან სოფელი მხოლოდ შემოდგომობით არის ცოტამათა ღონიერად. ცუდი ზნე ამ შემოდგომასთან შეკავშირებულ ლხინს ისა სჭირს, რომ მაჭარი მეტი მოსდით ხოლმე მასპინძლის გულუხვობით მაყართ თუ სტუმართ, რასაც ძნელია რაიმე უბედურება არ მჰყვეს ზედ... 23-ს ოქტომბერს ხიდისთავში საქორწილოდ მოსულმა [illegible] ეკკლესიაში და ჩვეულებრივ დამბაჩების სროლა დაიწყეს. ერთს მაყარს, დღესაც არ იციან თუ ვინ, მკლავში ხელი ჩაჰკრა, დამბაჩა გავარდა ხელიდგან და დაიცალა... ტყვია მახლობლად მდგომს ხიდისთაველ გლეხის ასე თხუთმეტის წლის ბიჭს მოჰხვდა მარცხენა გულში და იქვე სული გააფრთხობინა. საბრალო გორის სამოქალაქო სასწავლებლის მესამე კლასში იყო. ამ უბედურებით გაცეცხლებული ხიდისთაველი გლეხობა მიესია მექორწილეთ. ხალხის მისვლა, კიდევ კარგი, რომ უბედურობით არ დაბოლოვდა და მაყრიონისა და მასპინძლის სტუმართ ცემა-ტყეპით გულნაჯერი მისეული ხალხი უკანვე დაბრუნდა.

*** სოფ. ბელაქანი: სამი-ოთხის საუკუნის განმავლობაში აქაურებს ზარის რეკის ხმა აღარ გაეგონა და არც ეკკლესიაში წირვა-ლოცვის მოსმენის ღონისძიება ჰქონდა. ამ სამი წლის წინად, ადგილობრივ მკვიდრთა—გიორგი და დავით ჰალოჯევ-ვაჩნაძეთ თხოვნისამებრ საქართველოს ექსარხოსმა გაუმწესა ჩვენს სოფელს საკუთარი მოძღვარი და ეკკლესიის ასაგებადაც განკარგულებაც მოახდინა. ქრისტიანეთა მცირე წრემ დიდად გაიხარა ამ ამბის გამო. მაგრამ მალე სიხარული ისევ მწუხარებად გადაექცათ. ბელაქანი დიდი სოფელია (1,060 კომლამდე), ქრისტიანენი-კი მხოლოდ 21—23 სული. დანარჩენი სულ მაჰმადიანნი არიან. ამათ ეკლად ეჩვენათ აქ მღვდლის გამომწესება და ეკკლესიის აგების ამბავი. ამის გამო მაჰმადიანებმა ქრისტიანებს ისე გაუჭირეს საქმე, რომ ამ სამს წელიწადში, სამჯერ ვერ შეიყარნენ ერთად ლოცვა-წირვის მოსასმენად. ქრისტიან მღვდელს სახლი არავინ მიაქირავა დასადგომად; ამიტომ მღვდელი დღემდე ლაგოდეხში სცხოვრებს, ლაგოდეხი ბელაქანს 17 ვერსით შორავს. არც დიაკვანსა [illegible]. იგი სცხოვრობს ფოსტის სადგურში და, თავის მოვალეობას გარდა, ასრულებს ამ სადგურის უფროსის თანამდებობასაც. დიაკვანი ბევრს ეცადა, რომ სამრევლო სკოლა გაემართა მაგრამ ბელაქნელები არც ამ კეთილს საქმეში შეეწივნენ და შვილები არ მიაბარეს.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ გარსევან რატიანისაგან 20 მან. ი. დავითაშვილის ფონდის სასარგებლოდ. წინად იყო 51 მან. ამიანად შესდგა 71 მ.

*** საჩხერედამ გვწერენ გაზ. „Нов. Обоз.“-ეს, რომ აქაურს მკურნალს ბ-ნ გრიგოლ ელიავას საჩხერლებმა დიდი მადლობა გადაუხადეს საჯაროდ სამის წლის განმავლობაში ერთგულად და საქმის ცოდნით სამსახურისთვის და მიართვეს სამი ყუთი სამკურნალო იარაღებითაო, რომელიც მოსკოვიდამ დაებარებინათ. იარაღებზე მშვენიერად აწერია ქართულად: „დოქტორს გრიგოლ ლავრენტის ძეს ელიავას, ნიშნად დიდის პატივისცემისა საჩხერლებისაგან“.

*** 27 ოქტომბერს, შუადღისას, რკინისგზის ლიანდაგს იქით ყაზარმისა და სომეხთ სასაფლაოს შუა ხევში მწყემსმა ივან კოტინმა იპოვნა მოკლულის კაცის გვამი. მოკლულის ვინაობა გამოიძიეს და მანგლისის მცხოვრებელი რუსი გიორგი ნეხაროშევი აღმოჩნდა. ნეხაროშევი ტფილისის საპატიმრო ციხის ზედამხედველად ყოფილა. მოკლული სამგან იყო დაჭრილი და ჩექმებში 2 მან. და 72 კაპ. ჰქონდა. ნეხაროშევს საკუთარი სახლი ჰქონდა, ცოლიანი იყო და მამაცა და ძმაც ჰყავდა. ნეხაროშევს 26 ამ თვისას გამოურთმევია ცოლისთვის 20 მან. და კრამიტის საყიდლად წასულა, საღამოს შვიდს საათზე პოლიციის პირველს ნაწილში ვიღაც ორ კაცთან ერთად ეტლით მისულა „ვასო“-ს ლუდხანაში და ერთი თუნგი ლუდი დაულევია. მიცვალებულს თუმნიანი და სამ მანეთიანი დაუხურდავებია და სახლში წასვლა დაუპირებია, მაგრამ იმ ორს კაცს არ გაუშვია და თითქმის ძალად ეტლში ჩაუსვამთ და ქალაქისაკენ გაქანებულან. ეს იყო და ეს. იმას შემდეგ ნეხაროშევი აღარავის უნახავს. ის ორი კაცი საპყრობილიდგან ახლად განთავისუფლებულნი ყოფილან.

*** 28 ამ თვისას მოსკოვის ხევში, პეტროვის სახლთან იპოვნეს ერთის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი ერთმა მასწავლებელმა იპოვნა და თვითონვე წაიყვანა გასაზრდელად.

*** ოქტომბრის 26, ლაბარატორიის ქუჩაზე, ალალაროვის სახლში მალინოვის სასარეცხოდგან მოიპარეს სპილენძის ქვაბი და ორი კოვზი, ღირებული სულ 19 მან. ქურდობა პატრონმა იმასთან მოსამსახურედ ნამყოფს დიმიტრი გოგნაძეს დასწამა. გოგნაძე შეიპყრეს.

*** 28 ამ თვისას, ღამის 9 საათსა და 50 წამ., შეაბაზრის ვიწრო ქუჩაზე ტერ-აბრამოვის სახლის მახლობლად მიწის ძვრის გამო ქუჩის ლამპა გასკდა და ნავთმა ალი აიტანა. ცეცხლი პოლიციელმა გააქრო.

## რა აწუხებს იმერლებს?

(სამგზავრო წიგნიდამ)

— რა ეშველება ჩვენს ქვეყანას, თუ ასე წავიდა ჩვენი უფიქრელობა და უზრუნველობაო, შემომჩიოდა ერთი ჩემი ძველი მეგობარი, რომელიც შემხვდა რკინის გზის ვაგონში და გურიისაკენ მიემგზავრებოდა.

— თქვენ უეჭველად წრევანდელ ბანკის არჩევანის შესახებ ლაპარაკობთ-მეთქი, შევაწყვეტინე სიტყვა.

— კი, არჩევანი ხომ არჩევანია, მარა ეს არჩევანი ერთი ნაწილია ჩვენის უთავ-ბოლო ყოფა-ცხოვრებისა. ეს არჩევანი ხომ თვალით დასანახავი საქმეა. სამწუხარო სულ ყოველიფერია, საითაც-კი მიიხედავთ და თვალს დააკვირებთ.

ცოტა არ იყოს გამაკვირვა ჩემის მეგობრის საპოწარკვეთილებამ და უთუოდ სახეზე შემამჩნია ეს გაკვირვება, რომ ხმა აღარ ამომაღებინა.

— არ გეგონოს ვაზვიადებდე რასმე, სწორედ გეუბნები, რასაცა ვფიქრობ: ძალიან ცუდად არის ჩვენი ამბავი.

— შე დალოცვილო, გავაწყვეტინე სიტყვა: ქართლ-კახეთში რაღა უკეთესობა გვეტყობა? რაც სურამს იქით არის, აქეთაც ის არის.

ჩემმა მეგობარმა იცოდა, რომ სურამს იქითა მხარე მიყვარდა და იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს შესახებ კარგის აზრისა ვიყავი; გაღლაგამოელით, მცირე ხნობით მყოფს იმერეთზე სასარგებლო აზრი მქონდა შედგენილი და ამაზე დამიწყო ბაასი.

— აბა თქვენ რა იცით აქაურის ცხოვრების ამბავი? თქვენ ქართლ-კახეთს ადარებთ აქაურობასა და ძლიერ სცდებით.

— კი, მართალია, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს, ჩამოაკვესა ჩემს მეგობართან მჯდომმა.

— როგორ, ბატონო?

— ასთე, ბატონო, რომ პირდაპირ მოგახსენებთ, აქანას არც ძილი გვაქვს, არც მოსვენება. ღამე შინ საწოლში ველარ დაგვიძინია, სადმე უნდა გავიჩინოთ ბინა და ვართ წყალებაშიდ და წამებაშიდ. ჩხა და მტერევა, ვაი სირცხვილო, გაჩაღდა ჩვენში. აღარავინ ინდობს ერთმანეთს; მეზობელი მეზობელს ემტერება, ნათესავი ნათესავს; აღარ არის კაცის დანდობა. ყველამ იცის, ვინც არის ავი კაცი და ხმას არავინ სცემს. აღარც მამულის მოვლაა ჩვენთვის, აღარც სახლ-კარისა, არც შვილის გაზრდისა და არც არაფრისა. მთავრობა ცდილობს დაჭერას და ჩვენ ხელს ვაფარებთ ყოველს ავკაცსა და ვიძახით, როგორ გავცეთ კაციო. ბოლო როდის მოეღება ამ ავ-კაცობას, არ ვიცით. სანამ მთლად ციმბირში არ გადაგვასახლებენ, მგონი მანამ ვერ მოვისვენებთ.

— მერე ვინ არიან!

— ჩვენი თავად-აზნაურის შვილები არიან. შეგვარცხვინეს, თავი მოგვჭრეს საქვეყნოდ.

— შინ არა გააჩნიათ-რა, აბა რას იზმენ! ჩაუმატა მეორემ ჩვენთან მჯდომმა: ადგილი, აჰ (ხელი გაშალა) პაწია ადგილი აქვთ; სახნავი არა აქვთ, სათესი და ვენახ-მამული. დღეს აქ მიელენ სადილად, საღამოს იქ მიელენ ვახშმად, დათვრებიან და შეუდგებიან მეორე-მესამე დღეს კაცების გზაზე გაქუცვასა, ბდღვნას. სახლში მოგიხდებიან, წაგაგლეჯენ, რაც გაბადია, დაგჩხჯენ და წავლიან... რა ქნან მაშ, სწავლა მათ არა აქვთ, რითი ირჩინონ თავი? ადრე და ადრე თქვენ

---

— საქმე მაქვსო, მეუბნებოდა. ეს ამბავი მაშინვე ვერაფრად მომწონდა, მაშინვე ეჭვის თვალით ვუცქეროდი. აბა რა საქმე უნდა ჰქონოდა ყოველ დღე და ისიც სწორედ რვა საათზედ? თერთმეტს საათზე ისევ შინ მოდიოდა დაღლილი და დაქანცული, შევიდოდა ხოლმე თავისს ოთახში და აღელვებული დადიოდა. ბევრჯელ მოვკარ ყური, რომ კვნესოდა და ბუსხუნებდა. ხანდახან ძილში შეჰყვირებდა ხოლმე. რომ გავაღვიძებდი და ვკითხავდი, რა დაგემართა მეთქი, რიგიანს პასუხს არ იძლეოდა, ხან რას მეტყოდა და ხან რას. გუშინწინ რომ მოვიდა, ხელი ნაღრძობი ჰქონდა. დასიებული მალე დაუცხრა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ფეხიც ეტკინა. კოჭლობა დაიწყო და ეტყობოდა, ძლიერა სტკიოდა, თუმცა აინუნში-კი არ აგდებდა და მიმალავდა, არაფერიაო, ბერშტეინიანდგან რომ მოვდიოდი, კიბეზე ფეხი მომისხლტა და დავეციო. ალბად იქვე ამოჰვარდნია საათი ჯიბიდგან; შინ რომ მოვიდა, საათი ცოტა დაჭექკილი იყო. ცოტა ხანს უკან შევიტყეთ, რომ მედალიონი დაჰკარგოდა, რომელშიაც ჩემი სურათი იყო, ნიშნობის დროს რომ მივეცი. შეიტყო თუ არა ეს ამბავი, საშინლად შეწუხდა, მეუბნებოდა, ნუ გეშინიან, არსად წავა, ბერშტეინიანთას დარჩებოდა, წავალ, მოვნახავ და მოგიტანო. გულზე ცეცხლი მეკიდებოდა, მაგრამ გაჩუმებული ვიყავი, თავს ისე ვაჩვენებდი, ვითომ არაფერია მეთქი. იმდენი ვეცადე, დავამშვიდე და ბერშტეინიანთას წასვლა მედალიონის მოსატანად მეორე დღისთვის გადავადებინე. ამაზე რომ დავიყაბულე, მე თითონ წაველი იმათსა და ყველაფერი გამოვკითხე.

ტონი, გული შეიმაგრე და გამიგონე, რა საზარელი ამბავი უნდა გითხრა: თვეზე მეტია თურმე, რაც ოტტო იმათსა არა ყოფილა; მაშასადამე არც გუშინ ყოფილა იმათსა, არც გუშინ-წინ... და მატყუებდა.

გაჩქარებული მოვედი შინა, ჩემი ქმარი გაეციებინა, ხელისა და ფეხის ტკივილი უფრო აშლოდა, ექიმიც მოსულიყო და ეუბნებოდა, სველი ტილოები დაიდეო. ჩემი ქმარი წევს, მე ყინულებს ვადებ, ვზივარ და ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამომდის. სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი, როცა ამ წერილსა გწერ. ვერ შემიძლიან გითხრა, რა გვნია მიტრიალებს გულში. რა ბედნიერი ვიყავ, მაგრამ ეხლა!.. ეხლა ყველაფერი ხელიდგან გამომეცალა.

ლეიტენანტი ჩვეულებრივ ფარჯარასთანა სდგას და აქეთ იცქირება. ეხლა ვნანობ და ჩემს თავზე გული მომდის, რომ დავცინოდი ხოლმე; ვინ იცის, იქნება ამ მთვარესავით რგვალ პირისახის კაცს კარგი გული ჰქონდეს და ერთგულება იცოდეს, იმას რომ ჰქონდა ჩემი მედალიონი, თავის დღეში არ დაჰკარგავდა. ჩემს ქმარს კი არა ჰგავს, რომელიც ისეთ ნაირად მიყვარდა და რომელიც ეხლა არც-კი მინდა, რომ ვახსენო. მეტს ველარ მოგწერ, ცრემლები სულს მიხუთავს. „მთვარე“ ისე გულშემატკივრად იცქირება, თითქო ყველა ჩემი დარდი და ნაღველი იცოდეს და ვებრალებოდე. შენი უბედური—ემმა

10 აპრილს

ტონი!

მხოლოდ რამდენსამე სიტყვას მოგწერ. დედასთან უნდა წავიდე. ყველაფერი გათავდა და გადასწყდა საუკუნოდ. ის მეხანათი გამოდგა—მე-კი მოტყუებული, მსხვერპლი იმის ვერაგობისა. დღეს დილით ჩემს ქმარს წერილი მოუვიდა ვიღაც ნაცნობ სოლომონისგან, გავხსენ, წავიკითხე და აი რა ეწერა: „რატომ აღარ მოდიხართ? განა აღარ მოგწონთ მერი? იმედი მაქვს, ეხლა კარგად მოიქცევა და აღარ გაიმეორებს“.... საკმაო იყო რაც შევიტყე. ავიღე შლიაპა, წამოსასხამი და დედასთან გავწიე. დედას უნდოდა დავემშვიდებინე, მითხრა, შენ ჩუმად იყავ, მე წაველ და სულ ცხვირში ძმარს ვადენ იმ მეხანათსაო, მაგრამ დედას არ დავუჯერე, ვუთხარ, ოტტოს მე თითონ უნდა პირდაპირ მოველაპარაკო მეთქი და შინ გავწიე. მოახლემ მითხრა, ეხლა სოლომონიც აქ არისო. კარებს ყური მივადე, ყური დავუგდე და აი რასა ლაპარაკობდნენ. სტუმარი: მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ მერი ძლიერ შეგეჩვიათ! ოტტო: არა, ვერ ვაპატიებ, იმისი ბრალია, რომ ცოლისგან ნაჩუქი მედალიონი დავკარგე. ცოლს ველარც-კი ვუბედავდი თქმას; ხომ იცი, ბ-ნო სოლომონ, რანიც არიან ქალები. სტუმარი: „მართალსა ბრძანებთ! ვინ არ იცის იმათი ჯიუტობა და თვითნებობა. მერიც თითქმის აგეთია, მაგრამ სხვაფრივ-კი მშვენიერი რამ არის“.

ყურის გდება ველარ შევსძელი. აბა მითხარ, თუ ღმერთი გწამს, განა შეიძლებოდა მეტის მოთმენა? მეტი თავ-ხედობა-და იქმნება იმ კაცის მხრით, რომელიც გულ-ჩვილი მეგონა... მაგრამ კმარა, იმაზე ლაპარაკი აღარა ღირს.

შევვარდი ჩემს ოთახში, შევახვიე ჩემი კაბები, ეს წერილი დავწერე და დედასთან წაველ. წერილს კიდევ მოგწერ. შენი სრულიად უბედური ემმა.

კ. მ. ლეიტენანტს დიდი ხელსახოცი უჭირავს და თვალებს იწმენდს. მგონი ჩემი უბედურება შეიტყო, ვებრალები და სტირის. კიდევ კარგი, რომ ქვეყანაზე ერთი გულ-შემატკივარი კაცი მაინცა ყოფილა, რა ვუყოთ, რომ გადღრენილი პრისახე აქვს და მთვარესავით დამრგვალებულა. სხვა რომ არა იყოს რა, ეგ ერთი კაცია, რომელიც...

(ორს საათს შემდეგ)

დეპეშა

ჩემო ძვირფასო, გაიხარე! ყველაფერი შევიტყე: მერი ცხენია, ოტტო—ანგელოზი, მე—სულელი. ხვალ წერილს მიიღებ.

11 აპრილი.

ჩემო საყვარელო, გულ-კეთილო და ძვირფასო ტონი!

რა ბედნიერი ვყოფილვარ! აი მოკლედ მოგახსენო, რაში ყოფილა საქმე. ამ ორის კვირის წინად ოტტოს იმიტომ დაუწყვია სიარული დილ-დილით, რომ ჩემს ჩუმად ცხენით სიარულს სწავლობდა თურმე. როცა ჩემზე დაინიშნა, როგორღაც წამოსცდა, ცხენით სიარული მიყვარსო, და იმიტომ მიმალავდა, სადაც მიდიოდა. მერის გადმოუგდია და ხელ-ფეხი მაშინ უღრძვია. ოტტომ მე მაჩუქა მერი. მშვენიერი ცხენია. ფიცი დავდე, რომ ჩემს დღეში ეჭვი აღარ შევუშვა გულში. გაკოცებ მრავალჯერ შენი დიდად ბედნიერი ემმა.

კ. მ. „მთვარეს“ პირზე უშველებელი მუწუკი ამოსვლია და ხელსახოცი იმიტომ ჰქონდა თურმე, მიფარებული, მე-კი მეგონა, ვებრალები და სტირის-მეთქი.

მარადის შენი—ემმა.

ს. გძელიშვილი

ტფილ ქალაქს ჩავიდოდენ, მოსამსახურედ დადგებოდენ მაინც. აწი ეთაკილებათ, აზნაურები ვართო. ერთი ქათმებს იპარავს, მეორე გოჭებსა, და ხელობად ასეთი საქმე გაუხდიათ. ასთე ვართ ყველა გაბმული ამ ჭირში, გადამტერებულები ვართ ერთმანეთისა და ბოლო-კი აგია, რომ სუ მთლა ციმბირში გადაგვასახლონ, რაც თავად-აზნაურობა ვართ, სუ მთლა და აქ თუ დარჩება, ისევ მარტო კაზახობა (გლეხ-კაცობა). იგინი არ ურევიან.

— აბა, არის ამისთანა ამბავი ქართლ-კახეთში? მკითხა მკაცრის ხმით ჩემმა მეგობარმა.

მე ყოყმანობით დავაპირე პასუხის მიცემა, მაგრამ აღარ დამაცალა და მომაყარა ათას გვარი სიტყვა:

— აი ამას ეჩიეით: ერთ თავ ხახვისა და ერთ ფრთა ქათმისათვის რომ კაცის დანდობა არ იცოდეს კაცმა, ამისთანა საზოგადოებაში რა არ მოხდება? ამისთანა საზოგადოებაში განა საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის ზრუნვა შეიძლება? განა დაგიდევს ვინმე, რომ საქვეყნო საქმე წახდებაო, საშვილიშვილო საქმე დაიღუპებაო? აბა მითხარი, განა ერთის სადილისათვის, ერთის დოქის ღვინისათვის, ერთის ქათმისათვის არ გამოიმეტებს შენს საზოგადო საქმესაც და საქვეყნო ბედსაც? ყველა ამას გეტყვის: „ვინც არის ნება ჩემიო, ის არის დედა ჩემიო“. გაგყიდის კიდეც, მოგკლავს კიდეც და შენი საზოგადო საქმე, უკაცრავად ამ სიტყვებზე, ფეხებზე ჰკიდია.

— დავიჯერო, ყველა აგრეა?

— გინდა დაიჯერე, გინდა ნუ. ყველაო? რასაკვირველია ყველა არ არის, მაგრამ ვისაც ესმის მშვიდობიანის ცხოვრების საჭიროება, რომ დაჩუმებულან და შესჩერებიან ამ ფრთაშესხმულ ავ-კაცობას, რატომ არაფერს არ ფიქრობენ, რატომ ხელს არ შეუბრუნებენ, არ შეაკავებენ, არ შეჰბოჭვენ და არ ამოფხვრიან თავიანთგან? განა არ შეუძლიანთ მხარი მხარს მისცენ და ისე იმოქმედონ, მაგრამ რას ვამბობ? თუ სიკეთის მოსურნენი ძლიერნი ყოფილიყვნენ, სიავე ასე არ გამოიჩენდა თავს, ალბად ყველას წელი გვიდევს და თავი მიგვინებებია, რომ ასე გაძლიერებულა ეს სენი.

ჩემი მეგობარი გაჩუმდა, მოღალულობა დაეტყო. ნაფიქრისა და ნათქვამისაგან მღელვარება ეტყობოდა. კიდევაც უნდოდა განეგრძო ლაპარაკი, უნდოდა აეხსნა ჩემთვის, რაც აწუხებდა, მაგრამ ამ დროს ვაგონში შემოვიდა ერთი ჩვენი მცნობი კახელი, რომელიც კარგა ხანია იმერეთში ჩამოსულიყო და საკუთარის საქმეების გამო აქა სცხოვრობდა. ჩვეულებრივს სალამს შემდეგ, როდესაც გაიგო ჩვენის ლაპარაკის საგანი, ისიც ჩაერია ჩვენს ლაპარაკში:

— ნეტავი რასა ბძანებთ? მთიულს უთქვამს: სად გაგონება არ არის, კარგვაა სამართლისაო. რაზე ლაპარაკობთ ნეტავი? მითხრათ. აქ იმერეთში ასეთი ადათი ყოფილა: თქვენ ალიას ამბავს ეუბნებით, იმას მუსია ახსოვს და მუსიას ამბავი ჰგონია. კიდევ კარგი, თუ გათქმევინათ; სათქმელს არ გათქმევინებს; მოგიყვება ჰიკჰიკს ვილაზედაც. შენ ასე გგონია ისიც ალიაზე გელაპარაკება. ალიას-კი ახსენებს, მაგრამ ეს მხოლოდ სახელია და ნამდვილ-კი თურმე მუსიაზე გემუსაიფება. კარგია თუ მიხვდი, თორემ იმოდენა ბაასი გაგემართება, რომ თავი და ბედი იწყევლო. მერე წავა ის შენი მუსაიფი და ბ...სი ისეთს საგანს მიაწყდება, რომ არც არა მუსიაა, არც ალიაა; რაღაც ფუქსავატი, მილაფლავი გამოვა. აქაურების ლაპარაკი ასეთია. ეგ კიდევ რა! თუ ყოყოჩობას მოჰყვა, ხმალზე ხელს დაიდებს და ჩაგაჩუმებს; სულ ხმას ჩაგაწყვეტინებს, თუ საბაასო საქმეზე მიდგა საქმე. აი წელს ქართლ-კახელები ბანკის საქმეზე რომ შეიყარნენ, ათი დღე ლაპარაკობდნენ და კიდევაც ენანებოდათ, ნეტა პატარა კიდევ გველაპარაკნა ამ ბანკის ანგარიშებისა და საქმეების თაობაზედაო. აქ იმერეთში კრინტი არ ამოაღებინეს, ან რწმუნების ქაღალდები ვისია და საიდამ არისო. დაიწყეს კივილი იიი... უუუ... ხმალზე იწევდნენ, ხმა არავინ ამოიღოთო. ჩქარა კენჭიო; უყარეს და გასწიეს შინ. ჰა... ჰა... ჰა, ჩაიცინა კახელმა.

— ეჰამეთ სირცხვილი და ის იყო, ნაღვლიანის ხმით წარმოსთქვა ვილაცამ ჩვენთან მჯდომმა. ამისთანა სირცხვილი ჩვენ დღეში არ გვინახავს, იმერელს ქართლ-კახეთში ახლა აღარ გაევლება. ვამბობდით ტფილისისა და ქუთაისის ბანკი შევაერთოთო და აბა ახლა რაღა შეგვაერთებს. ყველა თურმე ჩვენზე ლაპარაკობს; ჩვენ უპირობასე: ერთმანერთისა რომ არ ესმისო, უერთებიათო და სიტყვას არ ათქმევინებენ, ჩვენ რას გაგვიგონებენო.

ყველაზე საშინელება ჩვენ ყოფაში ის არის, რომ სიმართლის გრძნობა დაკარგულა, გადავიდა ჩემი მეგობარი ისევ საზოგადო იმერეთის დახასიათებაზე. გამიკვირდა და ვკითხე:

— როგორ სიმართლის გრძნობა? ეს თვისება მგონია ისეთი თვისებაა, რომ ყველა კაცსა აქვს და უმაგისოდ არაფერი არ გაკეთდება, არც კერძო და არც საზოგადო.

— კიდეც ეგ არის. სიმართლის გრძნობა არა გვაქვს. ჩვენში რომ ორი კაცი ბაასობდეს, თვითოეული მათგანი ლაპარაკის დროს იმას-კი არ დაგიდევს, მეორე მართალ ამბობს თუ არა, არამედ შეეცილება, ჩემით ნათქვამი გავიყვანოო, ლაპარაკში გამარჯვებული მე გამოვიდეო. სხვაგან, სხვა საზოგადოებაში, როდესაც კაცი ჰხედავს, რომ მობაასე მართალია, ჭეშმარიტის აზრის მთქმელია, რაღაცა ძალა აგრძნობინებს, ამის წინააღმდეგობა აღარ შეიძლება, უნდა ეღიარო, რომ ჭეშმარიტს ამბობს, თორემ უსამართლო, სიმრუდის მოყვარე, უსვინიდისო, უწვრთნელ, უგუნურ და უჭკუო კაცად ჩამთვლის, ვისაც-კი გაგება აქვსო. ჩვენში ასე არ არის. რაც უნდა კარგა ჩამაგონოს ჩემმა მოპირდაპირემ მართალი, მე მაინც და მაინც ჩემს სიტყვაზედა ვდგევარ, მინდა, ჩემი გავიყვანო და მოპირდაპირე დამარცხებული გამოვიყვანო. ეს საქმე მე დიდ ვაჟკაცობად მიმაჩნია. აი სადამდისა ვართ დაცემული! განა შესაძლებელია ქვეყნის სიკეთეს ველოდეთ, როდესაც ეს ერთად-ერთი საფუძველი სიკეთისა,—ეს სიმართლის გრძნობა დაგვიკარგავს? არა, მე აღარაფერი აღარა მწამს, რომ ჩვენში კეთილმა საქმემ და აზრმა ფესვი გაიდგას და ნაყოფი რამ გამოიღოს. ყველაფერი ხელიდამ წასულია. მე ვგძნობ, რომ თანდათან ჩვენში ავ-კაცობამ უნდა თავი იჩინოს, მოედება ჯერ ამ ჩვენს ბანკს, მერე ქალაქის გამგებლობას, თავად-აზნაურთა მარშლების არჩევნებსა და სულ მთლად ყველაფერს, რაც ჩვენს ხელში დარჩენილა; დღევანდლამდე რაც გაგვიკეთებია, ყველაფერს საერო წამბილწველი სენი და ჭირი უნდა მოედოს და ბოლო უნდა მოეღოს.

ჩემი მეგობარი და მე დავშორდით ერთმანეთს ამ საუბარის ზედ-მოქმედებით დატვირთულნი. ნაღვლიანად გამოვეთხოვე და ნაღვლიანად წამოვედი. იმერეთიდამ ეს ნაღველი გამომყვა და ახლა მომესურვა, გამომეთქვა მკითხველის წინაშე და აღმენიშნა ის, რაც აწუხებს იმერეთს, ესე იგი, საქართველოს მშვენიერს ნახევარს ნაწილს.

ვ.

---

## მიწის ძვრა ტფილისში

(სცენა)

კარგა მობინდდა. სწორედ ის დრო იყო, როცა უსაქმო ტფილელი სახლიდგან გამოდის დროს სადმე გასატარებლად და საქმიანი, დღიურის მუშაობით მოღალულ-მოქანცული კი უკვე ტკბილს ძილს მისცემია სახვალიოდ ძალ-ღონის შესაკრებად. რედაქციაში ვიჯექ მორიგედ და კვითხულობდი ერთის მაზრის უფროსის კორესპონდენციას, რომელშიაც ნადიდებ-ნაქები იყო თვით იგივე მაზრის უფროსი, მისი გამჭრიახობა, მისი ქველობა მისი უნარიანობა. სწორედ ამ დროს გაისმა ძლიერი გრგვინვა მიწისა, საშწერლო სტოლმა მოთილისმულსავით მიიწ-მოიწია, სამელნე წამოყირავდა და პირდაპირ გადაესხა კორესპონდენციას, თითქოს პირი უნდა გაუშაოს და ასწავოს, რომ თავის ქება კიტრად არა ღირსო. კედლებმა ზანზარი დაიწყო, ფანჯრის მინებმა წკრიალი, ქუსპედიტორი გარედ გამოვარდა მკრატლით შეაარადებული, კიბეზედ ჩადგა ერთი ფეხი და ისე ფეხ-ჩადგმული გახევდა; პატარა მოსამსახურე ბიჭმა ბუზღუნითა და წუწუნით ჩაირბინა კიბეზედ, ვინ უღმერთო აწკარუნებს ეგრე ღონიერად ზარებსაო; მოაჯირზედვე თავ-მოშვლეპით გამოვარდნილს მზარეულს მარჯვენა ხელში სასწრაფოდ მოსამზადებლად გაპუტვნილი ქათამი ეჭირა და მარცხენათი პირჯვარის დაწერასა სცდილობდა; მოსამსახურე გოგოს პაპიროსი მოეწია და ბარბაცი რომ დაიწყო მიწის ძვრისაგან, ასე ეგონა თამბაქოს ბოლმა დამასხა თავს რეტიო, იქავე ჩაჯდა და დაღებულს პირზედ წინასაფარი მიიფარა.

ტელეფონიც ათამაშდა. ათას გვარი ამბავი მოვიდა:

ფორკატის თეატრი: ერთი ყმაწვილი კაცი ოპერეტის არტისტ ქალს ელაპარაკებოდა სწორედ იმ დროს, როცა მიწა იძრა. ყმაწვილი კაცი მიწის ძვრამ ცალ ფეხზედ შეათამაშა, იფიქრა: გუშინ-წინ ნათლობაში რომ ბევრი მაჭარი ვსვი, ეხლა თუ გასჭრა იმ დაღუღებულმა ღვინომ, წავიდე, აქ არსად შევრცხვეო, და გამოემშვიდობა ქალს.

ვარანცოვის ხიდი. ამ ხიდზედ ეტლების სწრაფი სიარული აღკრძალულია და ამისთვის პოლიციელიც სდგას. მიწის ძვრის დროს პოლიციელი ანთებულს ფარანზედ იყო მიყრდნობილი და სთვლემდა. მიწის რყევამ გამოაფხიზლა და ბურანში დავთარ-დაბნეულმა შეუტივით წამოიძახა: „Эй, ты, тише, окаянный, чего такъ сильно прешь лошадей!“

„პურ-ღვინო“. დიდი ამბავია. ბოთლები ერთმანეთს ეხლებიან, თითქოს მუშტი-კრივი აქვთ გამართულიო. ბილიარდის „შარები“ თავის თავად ჰგორავენ და ვარდებიან ორმოებში. დანები თეფშებით დახტიან, თითქოს სალკამალკ ლალოინასა თამაშობენო. ორი მეგობარი კაცი ერთად კახურსა სვამდნენ და სტოლს აქეთ-იქიდგან უსხდნენ; ის იყო მიიტანეს თუ არა ჭიქები ერთმანეთზედ მისაჯახებლად, ამ დროს მიწა იძრა, ორივემ წინ წაიწიეს, თავები ჰკრეს ეობსავით ერთიერთს, ხელიდგან გავარდნილი ჭიქები-კი საჭმელში გადმოუპირქვავეთ. წაბარბაცებული მზარეული ქვაბს მოეჭიდა და ორივე ხელები დაითუთქა. მუშტრები სამზარეულოში შეცვივდნენ, მზარეულნი სამუშტროში გამოცვივდნენ, პატრონები-კი ქუჩაში გარბიან ქუდ-მოგლეჯილები.

ავჭალის ქუჩა. მთელი ქუჩა სავსეა კაცითა და ქალით. ზოგი თვალებს იფშვნეტავს, ზოგი იზმორება, ზოგი ასკინკილაზე დახტის; ზოგი ჩაცმულია, ზოგი ჩაუცმელი, ზოგი ნახევრად ჩაცმული. ერთს გერმანელს მხოლოდ ცალს ფეხზედ მოესწრია შარვლის ჩაცმა, მეორე უკან მოსთრევს, პირ-დაღებული ცას შესცქერის და ამბობს: „vas ist das!? შთო თაქოე?..“ ვიღაც გაბერილსა და ღიპიანს კაცს ილლიაში ამოუჩრია თავისი კაბა-სარტყელი და გამოვტიანებული ყოლდანოვის ცხენის რკინის გზის ვაგონს მისდევს სირბილით. მოსამსახურე იმერელი შუა ქუჩაზედ წამომჯდარა მამლაყინწასავით და თავით ფეხამდე „ომე!“-დ გადაქცეულა. მეხილეს თავფხებიდგან მსხალი და ვაშლი ქუჩაზედ გადმოუცვივდა, თითონაც თან გადმოჰყვა ასაკრეფად, თავი ვეღარ შეიმაგრა, ზედ წაექცა და ვაშლსა და მსხალზედ ბურთივით გორაობს.

*ლ—ფ*

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბეჟანიანი (თელავის მაზრა): ამ ღვინობისთვეში მოვიდნენ ინჟინერები, რიცხვით ექვსნი, სოფ. ბეჟანიანში იმ აზრით, რომ დაენიშნათ ადგილები იმ გზისა, რომელიც უნდა სოფელ ბეჟანიანიდგან გადიყვანოს მთიერობამ დაღისტანში და რომელზედაც უნდა ადვილად იაროს ყოველ გვარმა ეტლმა; ეს ახალი საფოსტო გზა ბეჟანიანს არა ჰხედება, როგორც სთქვეს თვით ინჟინერებმა, არამედ ქალაქ თელავიდგან წასულმა ეტლმა ბეჟანიანის ბოლოში უნდა გაიაროს, გასცდეს, ალმოსავლეთის მხრივ შემოუაროს და წავიდეს ხევ-ხევ საცხენისზედ და იქიდან დაღისტანში; როგორც ისმის, გზათა სამინისტრო ამ გზის გადაყვანის პროექტს მალე დაამტკიცებს და 1891 წელს გაზაფხულიდგან კიდეც დაიწყებენ ამ კეთილს საქმეს. ეს გზა, რასაკვირველია დიდს სარგებლობას მოუტანს კახეთს, რადგანაც უფრო გააძლიერებს კახეთსა და დაღესტანს შორის ვაჭრობას. ეხლა ცხენებით გადააქვთ და გადმოაქვთ ყოველივე ნასყიდი საქონელი და როდესაც საფოსტო გზა გაიყვანეს, მაშინ უშიშრად და ადვილად გადივლის ურემიცა და ხალხიც. ბეჟანიანელებს უხაროდათ, რომ საფოსტო გზას ზედ შუა სოფელზედ, ესე იგი ბაზარზედ ამოატარებენო, გავიგებთ ეტლების ჩხრიალსა და დავინახავთ ახალ-ახალს მოგზაურსაო; სოფლისთვისაც სასარგებლო იყო, რასაკვირველია, ამ გზის შუა სოფელზედ გატარება, მაგრამ საუბედუროდ, სოფლელებს ვერ უსრულდებათ ის სურვილი. თუმცა საზინისათვის სარფაც იყო სოფელზედ გზის გაყვანა, რადგან სოფელს იქით აღმოსავლეთისკენ რომ გაივლის და მიუხვევს, სინამ საცხენისამდის მივა, სამი დიდი ხიდი დასჭირდებათ ხევებზედ, ხოლო თუ სოფელზედ ჰივლის გზა, მაშინ ერთი ხიდია საჭირო.

ამავე დღეებში იყო ჩამოსული ბეჟანიანში სომხების მღვდლების ბლოჩინი თელავიდგან და მასთან რამდენიმე სომეხთ მღვდელიცა. მიზეზი ამათის ჩამოსვლისა ის იყო, რომ უნდა ეკურთხებინათ საძირკველი სომეხთ ეკკლესიისა, რომელსაც აშენებს აქაური სომხობა სოფლის მეიდანზედ. ამ მეიდანს ახლო ბაზარია, მეიდანზევე მოთავსებულია პურის მაღაზია და სასოფლო სასამართლო. ამიტომ სოფლის გლეხობა არა თანხმდება, რომ სომხობამ ზემოხსენებული ეკკლესია მოედანზე ააშენოს. ეგ ეკკლესია მეიდანს დაგვისახიჩრებს და რაც ზედ დაწესებულებანი გვაქვს სასოფლოდ გამართული, იმის აღებაც მოგვიხდებაო. სომხებმა მაინც ქართველობას ყური არ ათხოვეს, გასჭრეს საძირკველი და უნდა დაეწყოთ მუშაობა. ამ დროს იგრიალა სოფელმა და საძირკველი ისევ ამოავსო მიწით. ამაზედ შესდგა საქმე, შედგენილ იქმნა განაჩენი და არ ვიცით, საქმე როგორ დაბოლოვდება.

ბეჟანიანი მოკლებულია სკოლას საზოგადოებისასაცა და სამრევლოსაც. ერთმა სასულიერო წოდების კაცმა დაიწყო პატარა სახლი მაგრამ არც იატაკი აქვს ჯერ და არც ფანჯრები, ასე რომ მომზადებული არა აქვს რა. სოფლელები სულ ელოდებიან, როდის იქნება გ—შვილმა სკოლა გაჰმართოს, რომ ჩვენი შვილები მივაბაროთ სასწავლებლადაო.

ბეჟანიანს ახლოს, ესე იგი ვერს ნახევარზედ, იმყოფება სოფ. საცხენისი; ეს სოფელი დასახლებულია რუსებით. ამ სოფელშივე იმყოფება ორკლასიანი სასწავლებელი ციხეში, რომელშიაც სახელმწიფო ხარჯით არის პანსიონი ას ათის (110) შეგირდისათვის. სოფელ საცხენისში პირველშივე გადმოსახლდა აქეთ იქიდგან 40 კომლი რუსი. თითო კომლს მიუზომეს ხუთ-ხუთი დესეტინა მიწა, ესე იგი 40 კომლს 200 დესეტინა მისცეს. საუბედუროდ ამ რუსებმა ვერ აიტანეს აქაური ჰავა და ბევრნი დაიხოცნენ. აქაურმა ჰავამ ამ რუსებს ღონიერობის მაგიერად დე...ინაცვლობა გაუჩინა. ზოგნი კიდეც გადასახლდნენ ისევ წინანდელს თავის სოფლებში. ეხლა დარჩა სულ ცხრა კომლი რუსი; ამოდენა მამული ამ ცხრა კომლს უჭირავს. სოფელ ბეჟანიანის საზოგადოებას რომ ჰქონდეს ამოდენა მამული (სულ 500 კომლამდეა) სახნავად, სწორედ ბედნიერები იქმნებიან; ჩვენებურები ძალიან შეწუხებულები არიან სივიწროისა და მამულების სიცოტავისა გამო. სასურველია, მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას; სასურველია, რომ ამ ცხრა კომლს ისევ ხუთ-ხუთი დესეტინა, როგორც მიზომილი ჰქონდათ, მისცენ და დანარჩენი მიუზომოს ბეჟანიანის გლეხობას, რომლებიც ძალიან შეწუხებული არიან უმამულობით.

ბეჟანიანში მცხოვრებელი გლეხი
ალექსი ლ—ძე

## წერილი რედაქციის მიმართ

როგორც გაზ. „ივერიაშიაც“ იყო გამოცხადებული, მე 206 №-ში, ბ ნ გ. ბურჭულაძეს უკვე წარმოუდგენია თავის მიერ თელავში შეკრებილი 51 მან. რადგან რედაქციამ იკისრა ხელის-მოწერის გამართვა, ამიტომ გთხოვთ ეს ორი თუმანიც მიუმატოთ იმ ფულს. ამასთან წარმოგიდგენთ შემომწირველთა სიასაცა და, თუ შეიძლებოდეს, ესეც გამოაცხადეთ. ბ-ნ ბურჭულაძის წერილში ნათქვამია, რომ თუ განსვენებულ ი. დავითაშვილის ძეგლის დასადგმელად ხელის მოწერის გამართვა არ მოხერხდეს, ეგ ფულიც სხვა საკეთილ-მოქმედო ფონდს მიემატოსო. ჩემის აზრით, ძეგლის დადგმა უეჭველად მოხერხდება, რადგან, როგორც შევიტყე, ფულის შემომწირველი მსურველნი ბევრნი არიან. ხოლო შემდეგ-კი, როცა ძეგლს დავუდგამთ, დანარჩენი ფული შეიძლება სხვა ფონდს მიემატოს.

გარსევან რატიანმა 3 მან. თეკლე გარსევან რატიანისამ 3 მან. ნესტორ რატიანმა 1 მან. ათანასს მებურიშვილმა 1 მან. ყარამან ჩიქვანმა 1 მან. გიორგი ტორაშელიძემ 1 მან. ოზურგეთის მცხოვრებმა კონსტანტინე ჭელიძემ 1 მან. ესტატე ნიკოლოზის ძე ჩხატიშვილმა 1 მან. ვლადიმერ ალნიაშვილმა 3 მან. ალექსანდრე პაპოვმა 1 მან. ნიკოლოზ მატათვიევმა 1 მან. გრიგოლ ფარულავამ 1 მან. ვლადიმერ თევზაძემ 1 მან. ივანე მეგვლოვმა 1 მან.

გარსევან რატიანი

28 ოქტომბერი

## წვრილი ამბები

გამბეტა სტუდენტობის დროს. გამბეტა თავის სტუდენტობაში ძლიერ მყუდროდ სცხოვრებდა და ბევრსა მუშაობდა. 1869 წელს ერთი წიგნაკი დაიბეჭდა, რომელშიაც გამბეტას ცხოვრებაა აწერილი. ამ წიგნაკში ერთი წერილია დაბეჭდილი გამბეტასგან მამასთან მიწერილი. გამბეტას მამა იმ დროს კაგორში ვაჭრობდა. გამბეტა იცინის თავის ყოფაზე და სწერს: „ერთი იაფი კოხტად მოწყობილი ოთახი დავიჭირე. სარკე და წითელი ფარდები ღამ-ღამით, როცა სანთელი მინთია ხოლმე, ისე ბრჭყვიალებენ, თითქოს ნაკვერცხალიაო. ერთი სამ ფეხა სტოლი მაქვს, რომელსაც ფიზიკის სწავლის დროს მანქანის მაგიერ გხმარობ ხოლმე ზოგიერთ კანონის დასამტკიცებლად. სტოლს ზემოდ ჰკიდია სურათი 1839 წელს დახატული ვიღაც ჯარის კაცისაგან. წარწერა აქვს, რომ ალიაო. ეს წარწერა რომ არა ჰქონდეს შეიძლება კაცმა იფიქროს, ალი-კი არა მთვრალი მწედელიაო. ჰხედავ, მამა ჩემო, რა საგულისხმიერო ნივთები მაქვს ოთახში, ყველაზე ძლიერ ის დრო არ მომწონს, როცა საუზმესა ვჭამ ხოლმე. ისე დღე თითო ბულკითა გსაუზმობ, ხოლო კვირაობით-კი ორი ბულკი მაქვს. თითო ბულკი ორ 'გროშ ნახევრიანია. 6 საათზედ გამოძღვიძებს ხოლმე, მაგრამ ადგომით-კი 11—12 საათზე ადრე არა ვდგები. ჩავიცვამ თუ არა ტანისამოსს, ერთს ჭიქა წყალს დავლევ და ლექციებზე მივდივარ და ხუთის ნახევრამდის იქა ვრჩები. 5 საათზე ვახშამსა ვჭამ,თუმცა ვერც-კი ვტყობილობ, მიჭამია რამე თუ არა; ვახშმის ჭამას ნახევარ საათს ვანდომებ და 20—25 კაპეიკამდე მეხარჯება. ვახშამს შემდეგ ვაპეიკ ნახევრის პურს ვიყიდი ხოლმე და წიგნ-საცავში მივდივარ, 11 საათზე ისევ შინ მოვდივარ, ვჭამ ჩემ ნაყიდს პურსა, ერთ ჭიქა წყალს დავაყოლებ ხოლმე და შემდეგ ვიძინებ. ხომ ხედავ მამა ჩემო, რომ კარგად ვასრულებ შენს დარიგებასა და სწორედ ისე ვსცხოვრებ, როგორც საჭიროა სტუდენტისათვის.

— გერმანიის ერთს უნივერსიტეტის სტუდენტმა შემდეგი განცხადება დაბეჭდა გაზეთებში: „მე ქვემორე ამის ხელის მომწერელი ვაუწყებ ქალაქ NN გასათხოვარს ქალებს, რომ უკანასკნელს კურსზე გადავედი, კურსის დასამთავრებლად 50 მანათი მჭირდება. თუ რომელიმე გასათხოვარი ქალი დამეხმარება და მასესხებს ამ ფულს, პატიოსანს სიტყვას გაძლევ, რომ უნივერსიტეტის გათავების შემდეგ მაშინვე ჯვარს დავიწერ იმაზე.

— 1894 წელს ვენგრია იდღესასწაულებს თავის ათასის წლის დამოუკიდებლად არსებობას.

— რუმინიაში ერთი მთა აღმოჩნდა რომელიც პიტალო ქვა მარილია. ზემოდგან თხელი თიხის კანი აქვს და ამიტომ წვიმა ვერას აკლებს. ამ მარილის მთას გარშემო ჯარი არტყია, რომ არავინ არ მოიპაროს. ეს მით უმეტეს საჭიროდ მიაჩნია მთავრობას, რომ რუმინიაში მარილს ძლიერ დიდი ბაჟი ადევს.

— ყველას მოეხსენება, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები ერთი უმდიდრესი სახელმწიფოთაგანია და ხარჯიც თითქმის ყველაზე ნაკლები უნდება. აი ამის მიზეზი. იმ დროს, როდესაც სხვა სახელმწიფოებს მუდმივი ჯარი მილიონობითა და ასი ათასობით ითვლება, ამ სახელმწიფოს მუდმივს ჯარში მხოლოდ ოც-და-ოთხი ათასი კაცია.

## დეპეშა

28 ოქტომბერი

პეტერბურგი. სამხედრო სამინისტრომ ჯილდო გამოაცხადა იმისთვის, ვინც უკეთესს პროექტს შეადგენს პეტრე დიდის ძეგლისას. ეს ძეგლი უნდა დაიდგას მოგილიოვის გუბერნიაში, სოფელ ლესნოისთან, სადაც 1708 წ. პეტრე დიდმა პირველად შვეციელები დაამარცხა.

„С.-Пет. Вѣд.“-ი იუწყება ზოგიერთს ცნობებს სამაზრო მეურნეთა კრებების წესდებისას, რომელიც სახელმწიფო საბჭოშია წარდგენილი ამ ჟამად: მეურნეთა კრებას საგნად უნდა ჰქონდეს მეურნეობის ადგილობრივ ავ-კარგიანობის შესწავლა და ხელი უნდა წარუმართოს მის განვითარებას. კრებამ თავი უნდა მოიყაროს ხოლმე გუბერნატორის ნება-დართვით და თავმჯდომარეობა გასწიონ ან რომელიმე მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა, ან იქაურმავე მამულის პატრონმა, თუ გუბერნატორისაგან იქმნა დანიშნული. კრება ორ გვარი უნდა იყოს: ჩვეულებრივი დეკემბერსა და იანვარში, ან მაისსა და ივნისში, და არა-ჩვეულებრივი საგანგებოდ თავმოყრილი.

ვარშავა. გუშინ განაჩენი დაადგინეს სკუბლინსკისა და იმის ამხანაგთა შესახებ. სკუბლინსკისა და ბგნეხ ზდანოვსკაიას განუჩინეს სამის წლით საპატიმროში დამწყვდევა, პოლკოვსკის—$2^1/_2$ წლით ტუსაღების როტაში გაგზავნა და სხვებს-კი 3-დგან 6 თვემდე ციხე. ემილია ზდანოვსკაიასი, კუპკა და სიძე გაამართლეს.

რომი. მეფემ მონტში ინახულა გერმანიის კანცლერი კაპრივი და ხარებობის ორდენი უწყალობა.

პარიჟი. პალატამ შეუცვლელად დაამტკიცა ჩვეულებრივი და საგანგებო სამხედრო ბიუჯეტები.

29 ოქტომბერი

პეტერბურგი. სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ წვლილად გამოიძიოს ღვინის კეთების საქმის მდგომარეობა რუსეთში.

სამხრეთ-დასავლეთის ერობანი შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ პროგიმნაზიები და სასწავლებელნი სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთდესო.

დევიატინი, ვიტეგორის მაზრა. გუშინ დიდის ამბით და წყეს მუშაობა მარიინის გზების გასაყვანად.

პეტერბურგის ბირჟა, 26 ოქტომ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ნუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 6 | 59 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | $131^3/_4$ | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — | „ | 1 | 10 | — | |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | $231^1/_2$ | |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 212 | |
| —მესამისა . . . . | — | „ | — | „ | 214 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## განცხადებანი


სილამაზე და სინაზე სახისა
არიეს კრემი
კოსმეტიკა ა. ენგლუნდისა
ეს საშუალება სპობს ჭორფლს, პირის სიყვითლესა და ლაქას, მუწუკს, ჭმუხვნს, ღუდუდოს და სხ. პირ-სახეს ულამაზებს და უჭაბუკებს ადამიანს. თითო ბანკა ღირს 1 მან., გაგზავნით 2 მან., ორი ბანკა გაგზავნით 3 მან.
სიყალბის ასაცილებლად მყიდველებს ვსთხოვთ ყოველს ბანკაზედ გასინჯოს, რომ ეტიკეტს წითელის მელნით ჰქონდეს ხელ-მოწერილი ა. ენგლუნდი და ზედ მარკა ეკრას სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიისა. უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზედ, 32. (5—4)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზ ამ შეიძინა
ჟურნალ „ნობათი“-ს
ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება რასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, როგორც ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «დომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს
2 მან.
ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

# კბილი ალარავის წამოსტკივდება
თუ იხმარებენ
ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს
სულიაკის საბატოში (GIRONDE)
ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ
და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული
ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.
ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.
ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.
ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.
უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106. (208—55)

ოქროს  თამბაქოს ფაბრიკა  მედალი
# ნ. ი. ბოზარჯიანცისა
ტფილისში
მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭერილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში. (25—19)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:
# დედა ენა და ბუნების კარი
გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.
დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.
ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.
ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.
„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.
ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.
ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.
მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:
Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში
# „ისტორიული ნარკვევი“
ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ
ფასი 1 მან. 50 კაპ.
ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Доз. цен. Тифлисъ, 29-го Октября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Melик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე